№ 88
ხუთშაბათი, 8 მაისი 18·7 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 88
ხუთშაბათი 8 მაისი 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## საზოგადო წლიური კრება

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ დანიშნულია 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. უნდა განხილულ იქმნენ შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1896 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1897 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—1)

---

ქართული თეატრი

კვირას, 11 მაისს 1897 წ.

**საქველმოქმედო მიზნით**

ქართული სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

**ჭკუისა მჭირს**

კომ. 1 მოქმედებად თხზ. ა. ცაგარლისა.

II

პირველად ახალი პიესა

**ძილქალ ძილო**

კომედია 1 მოქმედებად.

III

**კინტო**

კომ. 3 მოქმ. თხზ. თ. აკაკი წერეთლისა.

დასასრულ **ლეკური**.

მოთამაშენი: ქქ. რჩეულოვისა, კიკნაძისა ბ.ბ. თამაზიშვილი, შველიძე, გოცირიძე, ინასარიძე, ხოსროევი, ურმანიშვილი, ჯაბაური, ელისაშვილი, ჩიქოვანი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი დღის 3 საათზედ.

---

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა** ამითი აცხადებს, რომ კვირას, 11 მაისს, დილის 12 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა.

(1—უ—1)

---

ტფილისი, 7 მაისი.

ჯერ, მინამ ბ-ნ ივანენკოს ნაძიებს გამოვაქვეყნებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ ყოვლად უწინარეს ზოგიერთი რამ, ურომლისოდაც ძნელია კაცმა აზრი რამ შეადგინოს სავსებით შესახებ არუთინოვის ტრიხინების საქმისა. ამ მიზეზით ნუ დაგვემდურებიან, რომ ჩვენს დღევანდელს წერილს ცოტა შორიდამ დავიწყებთ.

ტფილისის საბჭოს დადგენილი აქვს—ვინ და რა წესით უნდა განაგებდეს სავეტერინარო ზედამხედველობას ტფილისის საყასბოისას. ამ დადგენილებიდამ სჩანს, რომ ქალაქის საყასბოს ზედამხედველობა აბარია სავეტერინარო-მკურნალს ისპანდარიანცსა და მას ახლავან: ა) თანაშემწე მისი სავეტერინაროვე მკურნალი, ბ) ორი საყასბოს შემოსავლის ამკრები, გ) ფერშალი და დ) ყარაული საყასბოსი.

მეოთხე მუხლი ამ დადგენილებისა ამბობს, რომ როცა თვალად ისინჯება მორეკილი საკლავად საქონელი ფეხზე, ან დაკვლის დროს, ანუ, როცა ისინჯება უკვე დახოცილიცა თანა-დასწრება ორის სავეტერინარო მკურნალისა და ყველა სხვათა საყასბოსთვის დანიშნულ მოხელეთა სავალდებულოა. ამ სინჯვის დროს საყასბოს გამგებელი (ამ შემთხვევაში ბ-ნი ისპანდარიანცი) ანაწილებს მოხელეთა შორის საქმესა, რომელიც უნდა სწარმოებდეს მაინც მისდა პირდაპირ ზედამხედაობის ქვეშ *).

მეშვიდე მუხლი ამბობს, რომ უვარგისი ხორცი, ან ნაჭრები, ან მთელი დაკლული უნდა მოსპობილ იქმნას. რა გზით? ამის პასუხს იძლევა სხვა განაჩენი საბჭოსივე, რომელსაც ჰქვიან: სავალდებულო დადგენილებანი შესახებ ღორის ხორცის გასყიდვისა: სნეულიანი (зараженныя туши) ხორცი ცეცხლში უნდა დაიწვასო.

ქალაქის ხარჯთ აღრიცხვაში ცეცხლში დაწვის ხარჯად ყოველ წლივ დანიშნულ იყო ორმოცი თუმანი.

მაშ დავიხსომოთ: ბ-ნს ინსპანდარიანცს ნება არ ჰქონია მარტოდ მოეხდინა სინჯვა საკლავისა, თუ დაკლულისა, ღორი იქნებოდა, ძროხა, თუ სხვა საკლავი რამ. თანა-დასწრება სხვათა მოხელეთა სავალდებულო ყოფილა, როცა სინჯვაა. ეს ერთი.

მეორე ისა, რომ თუმცა ბ-ნს ინსპანდარიანცს ნება ჰქონია საქმე გაენაწილებინა მოხელეთა შორის, მაგრამ თითონ სინჯვა-კი არა, არამედ ყოველივე ის, რაც სინჯვისათვის საჭიროა, მაგალითებრ, წესი, რიგი და ჯერი საკლავის სასინჯავად მორეკისა, რომ ერთი მეორეს არ შერევოდა, აღნუსხვა მორეკილის საკლავისა, გასინჯულისა, უვარგისად, ანუ ვარგისად ცნობილისა და სხვა ამგვარი, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც სინჯვისათვის სათანადო და საკუთნოა და რაც მისს ვითარებას და გარემოცულობას, მზადებას შეეხება. თვითონ სინჯვა-კი საერთო თანადასწრებით უნდა მომხდარიყო უსათუოდ.

მესამე ის, რომ უვარგისი ხორცი, ან სნეულის პირუტყვისა უსათუოდ უნდა ეწვათ ცეცხლში და ამის სახარჯოთ ორმოცი თუმანი იყო დანიშნული ყოველ წლივ.

ბ-ნ ივანენკოს გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ღორის ხორცის და ფეშხოების სინჯვა ერთხელ და სამუდამოდ დაუჩემებია საკუთრად ბ ნს ისპანდარიანცსა და ამ სინჯვისაგან დაუთხოვნია ყველა სხვა მოხელენი. ამასვე ამტკიცებს თვითონ ისპანდარიანცი თვისს პასუხში, რომელიც მიუცია, ვგონებთ, ბ-ნ ივანენკოსათვის. ვამბობთ, „ვგონებთო“ იმიტომ, რომ ამ პასუხს ზედ აწერია; „Объясненіе“, და არა სწერია-კი ვის აძლევს ამ „Объясненіе“-ს და არც თარიღია აღნიშნული რა დროს მიუცია, თუმცა აშკარაა, რომ არუთინოვის ტრიხინების გამოა იგი დაწერილი.

ბ-ნი ისპანდარიანცი ამ „Объясненіе“-ში ასე მართლულობს თავსა: საქმე სავეტერინარო ზედა-მხედაობისა მეტად რთულია და ბევრიო და ამიტომ მე მივინდე საკუთრივ საკლავისა და დაკლულის ღორის სინჯვაო და სხვა ნაწილნი ზედამხედაობისა, სხვა საკლავების და დაკლულების სინჯვა სხვა მოხელეებ შორის განვანაწილეო. ჩვენ-კი ვიტყვით, სინჯვა ღორისა იქნებოდა თუ სხვა საკლავისა, საბჭოს დადგინების მეოთხე მუხლის ძალით, ცალკ-ცალკე არავის უნდა მიჰნდობოდა და დაეჩემნა. სინჯვა უსათუოდ ერთმანეთის თანადასწრებით უნდა ყოფილიყო და არა ერთს ღორის სინჯვა დაეჩემებინა და მეორეს სხვა პირუტყვისა.

ესე მართლულობს თავს ბ-ნი ისპანდარიანცი 1896 წელს, როცა არუთინოვის ტრიხინების საქმემ გამოჰყო თავი, ხოლო 1894 წლის ანგარიშში-კი, რომელიც საცა ჯერ არს წარუდგენია, ირწმუნება, რომ თუმცა საყასბოს გამგებელისაგან (ესე იგი, თვითონ ისპანდარიანცისაგან) საქმე განაწილებულ იყო მოხელეთა შორის, მაგრამ დაკვლასა და სინჯვას-კი ყველა მოხელენი უნდა დასწრებოდნენ ყოველ დღეს, თუნდ უქმეც ყოფილიყოო. აშკარაა, ბ-ნ ისპანდარიანცს პირველში მეოთხე მუხლის ძალა საბჭოს დადგენილებისა ზედ-მიწევნით გაგებული ჰქონია 1896 წლამდე და მერე-კი ეგ ზედ-მიწევნით გაგება სადღაც გაფრენილა, საბჭოს დადგენილება გაუუქმებია და თავისი საკუთარი წესი შემოუღია საბჭოს ნება-დაურთველად.

ხორცი უვარგისად ცნობილი და მათ შორის ტრიხინიანი და ფინიანი ღორები იშვიათად უწვავთ (ჩვენება გოროდოვოისა), ტრიხინიანი და ფინიანი დაკლული ღორი უძლევიათ საპნის მხდელებისათვის ß იმათ ხარშვით უნდა გამოეცლევინათ თურმე ქონი. ამას თვითონ ბ-ნი ისპანდარიანციც ამტკიცებს, ხოლო ხსენებულს 1894 წლის ანგარიში-კი ირწმუნება, რომ „зараженныя туши“ და, მაშასადამე, ტრიხინიან და ფინიანს ხორცს ღორისას სულ მთლად ვწვავდიო. ბოლოს, როცა არუთინოვის საქმის გამო კითხულ იყო, იგივ ისპანდარიანცი ამბობს, რომ დაწვას ვერ ვახერხებდიო, ხან წვიმა-ავდარი გვიშლიდა და მერე იმიტომ, რომ ამისათვის ჯეროვანი მოწყობილება, მაგალითებრ, საწვავი „ფეჩი“ არა გვქონდა და არც დახურული ადგილიო. ამიტომ უფრო სახერხოდ დავინახეო, ამბობს ბ-ნი ისპანდარიანცი, ტრიხინიანი და ფინიანი ხორცი ღორისა საპნის ქარხანებში მეძლია ქონის სახდელად. ეს ქარხანაში ძლევა ღორის ჭირიან ხორცისა გამოძიებითაც დამტკიცდა.

ხოლო საკითხავი ეს არის: რა უფლებით შესცვალა ისპანდარიანცმა იგი წესი ჭირიანის ხორცის სპობისა, რომელიც პირდაპირ ავალებდა ცეცხლით დაწვასა? ეს ერთი. მეორე ის, რომ თუ არა სწვავდა, 1894 წლის ანგარიშში რად არწმუნებდა თვისთა უფროსთა, რომ ვწვავო? მესამე ის, რომ თუ სწვავდა, რატომ მაშინ არ უშლიდა წვიმა და ავდარი, ანუ ის გარემოება, რომ დახურული ადგილი, ან „ფეჩი“ არა ჰქონდა?

„კულტუროსანთა“ ბრწყინვალე გამგეობამ მოჰკითხა პასუხი ამ „იყო და არა იყო“-სი სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს ბ-ნს სტეფანიანცს, რომელსაც უმაღლესი ზედამხედაობა ამაებისა აბარია სხვათაშორის,—ეს როგორი ამბავია, ისპანდარიანცი თავისს ანგარიშში და თქვენ თქვენსაში გვარწმუნებთ, რომ ტრიხინიან და ფინიან ღორების ხორცს ვწვავდითო და ბოლოს-კი გამოჩნდა, რომ არ უწვავთ და საპნის ქარხნებში უძლევიათ ქონის გამოსაცლელადაო.

ბ-ნი სტეფანიანცი ამაზე ძალიან მოკლე პასუხს იძლევა, როგორც მოგეხსენებათ კანცელიარულ მიწერმოწერის ამბავი, ოღონდ ქაღალდი თავიდამ მოვიშოროო. მეო, ბძანებს ბ-ნი სტეფანიანცი, ჩემი ანგარიში დავამყარე ბ-ნ ინსპანდარიანცის 1894 წლის ანგარიშზედაო და არავითარი საბუთი არა მქონდა ეს მისი ანგარიში არ დამეჯერაო. ბ-ნი ისპანდარიანცი არა ერთხელ მარწმუნებდა სიტყვით და ხან, თუ საყასბოში ვიქნებოდი და ჩემს იქ ყოფნის დროს სწვავდნენ უვარგისად ცნობილ ხორცსა, მეც თვითონ ჩემის თვალით მინახავს ეს წვაო. ამასთან ისპანდარიანცის ანგარიში საუბარი 1894 წლის ამბებისა არისო და ეს ამბები-კი, რომ არ უწვავთ, $189^{5}/_{6}$ წლებს ეკუთვნისო. ამითი გაათავა ბ-ნმა სტეფანიანცმა თავისი საუცხოვო პასუხი.

რა თქმა უნდა, არავინ უთხრა ბ-ნს სტეფანიანცს: ვთქვათ ეგრეც იყოს, როგორც ბძანებთ, ხოლო რომ გვარწმუნებთ დავდიოდი საყასბოში, ერთხელ მაინც როგორ არ შეჰნიშნეთ ეს უცნაური „იყო და არა იყო რა“ და არ შეგვატყობინეთ, რომ ბ-ნი ინსპანდარიანცი გადასულა ჩვენს დადგენილებას და სხვა თავისი წესი შემოუღია წამხდარის ხორცის მოსპობისათვის ცეცხლით დაწვის მაგიერ? თუ ბ-ნმა ქიქოძემ და მერე ბ-ნმა ივანენკომ პირველ მისვლაზევე შეიტყეს იმოდენა ამბები, თქვენ ხომ რამდენჯერმე ჰყოფილხართ საყასბოში და რას აკეთებდით, როცა დადიოდით, თუ არაფერი გითვალიერებიათ, არაფერი გამოგიკითხავთ, არაფერი გინახავთ, არაფერი გაგიგონიათ და არაფერი გიძიებიათ? და თუ გიძიებიათ, ის მაინც როგორ არ შეჰნიშნეთ, რომ გაფუჭებული, უვარგისი ხორცი, დადგენილებისამებრ, არ უწვავთ და სადღაც საპნის ქარხანაში უძლევიათ და თუ შეჰნიშნეთ, რატომ ერთხელ მაინც არ გვაცნობეთ ჩვენმიერ დადგენილის წესის შეშლა? პირ-იქით, ეხლაც გვეუბნებით, როცა-კი საყასბოში ჰყოფილხართ და იმ დროს წვა ყოფილა, ეს წვა ჩემის თვალით მინახავსო.

მართალია ეს „როცა“ და „იმ დროს“ იმისთანა სახედარია, რომ „ჰოსაც“ აჰკიდებს კაცი და „არასაც“ იმისდა მიხედვით—რა დროს რაა საჭირო, მაგრამ მაინც სანატრელია ვიცოდეთ: რამდენჯერ ყოფილა საყასბოში ბ-ნი სტეფანიანცი, რა უძიებია და რამდენჯერ დასწრებია ჭია-კოკოლას? ეს გამოძიებული არ არის და როგორ გგონიათ, არა ღირდა გამოსაძიებლად, რომ შეგვეტყო სავეტერინარო ზედამხედველობას ვინ ადევნებდა თვალს და როგორ?

ეჰ, რაც არის, ამას ნულარ გამოვეკიდებით: წარსული საქმეა და ერთის კვირის წინად დავიწყებას მიცემული „კულტუროსანთა“ გულტკბილ საბჭოსაგან. ხოლო მეტი არ იქნება ვიკითხოთ: თუ, როგორც ისპანდარიანცი და ამასთან გამოძიე-

---

*) თავისის სიტყვით ნაამბობი ყოველთვის მიზეზიანი რამ არის. რომ არავინ შეგვწამოს გადასხვაფერება ამ მეოთხე მუხლისა, იგი სიტყვა-სიტყვით მოგვყავს რუსულად: „Во время наружнаго осмотра скота, убоя, осмотра тушъ и проч. присутствіе (не исключая и праздничныхъ дней) двухъ ветеринарныхъ врачей и прочихъ служащихъ при бойнѣ обязательно. При чемъ работа, распредѣляется между всѣми служащими завѣдывающимъ бойнями и производится подъ непосредственнымъ его надзоромъ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც ამბობს, ტრიხინიანი და ფინიანი ღორი საპნის ქარხანაში მიდიოდა და დაუწვავად ისპობოდა თუნდ მარტო იმ $189^{5}/_{6}$ წლებში, რომელთაც ბ-ნი სტეფანიანცი გვანიშნებს, ჰრჩებოდა რამ ეკონომიაში იმ ორმოცის თუმნიდამ, რაც დასაწვავ ხარჯად გადადებულ იყო ყოველ წლივ და თუ ჰრჩებოდა, რა იქნა ასეთი გულმოდგინებული ეკონომია?

მართალია, ეს ფული დიდი არაფერია მით უფრო, რომ ცალკე კაცის ჯიბიდამ ხომ არ გადის და ვინ გაედევნებოდა უკან, სად მიდის და სად იკეთებს ბინას? ეს ფული ქალაქისაა და ქალაქის ფულის აქედ-იქით ორმოც-ორმოც თუმნობით ფანტვა რა სათქმელია და მერე მისი მოკითხვა რა საკადრისია „კულტუროსანთა“ საბჭოსა და გამგეობისათვის! მაგრამ მაინც სასურველია ვიცოდეთ: რა ჰკუასა სწავლობდა ეს ორმოცი თუმანი, ან მისი მეტ-ნაკლები, თუ რისთვისაც იყო უმთავრესად გადადებული, იმას არა ჰხმარდებოდა და მუქთად კეთდებოდა მესაპნეთაგან?

ეხლა დავუბრუნდეთ ბ-ნ ივანენკოს გამოძიებას. ჩვენა ვნახეთ, რომ გუბერნიის მკურნალის ბ-ნ ქიქოძის მიერ მიკროსკოპით გასინჯულმა ღორის ხორცმა არუთინოვის საკუჭნაოში აღმოაჩინა 32 ფეხ-ღორში 22 ტრიხინიანი, ესე იგი, $68^{3}/_{4}$% და არა 65%, როგორც შეცდომით ნაჩვენებია ამის შესახებ სიგელებში. ბ-ნს ივანენკოს თავისი გამოძიება აქედამ დაუწყვია და ამბობს, რომ თვითონ საყასბოს ცნობებიდამ-კი აღმოჩნდაო, რომ გარედ მორეკილ ღორებისაგან ტრიხინიანი ღორი 0,23%-ია და იმ ღორებისაგან-კი, რომელიც იქავ საყასბოსთან უსუქებიათ და მერე უხოცნიათ 15%. ამ ციფრების მიხედვითაც მატება და ვრცელება ტრიხინისა უნდა მიეწეროს ტფილისის საყასბოსა, რადგანაც სხვაგნიდამ მორეკილ ღორში თითქმის ხუთასზე მარტო ერთი ტრიხინიანი ღორი მოდის და საყასბოსთან გასუქებულ და მერე დახოცილებში—ასზე ხუთმეტი.

თუ მართლა საყასბოშივე გასუქებულ და მერე დახოცილ ღორში ტრიხინიანები არ აღემატებოდა 15%, მაშ საიდამ აღმოჩნდა $68^{3}/_{4}$ არუთინოვის საკუჭნაოში? გამოძიება გვაუწყებს, რომ 31 იანვარს 1896 წ. არუთინოვის მიერ ხუთმეტ დაკლულ ღორში რვა ტრიხინიანი აღმოჩნდაო. ბ-ნი ივანენკო ამას ამბობს, რომ ეს რაიმე განსაკუთრებულს შემთხვევას შესაძლოა მიეწეროსო, მაგრამ თვით ამ შემთხვევის განსაკუთრებულებამ საჭიროდ დამანახვა გამომერკვია რა წესი და რიგი ზედამხედაობისა არსებულა საყასბოში შესახებ ტრიხინიანის ღორის ხოცვისა, სინჯვისა და სპობისაო.

ბ-ნ ივანენკოს უკითხავს არუთინოვის მოჯამაგირეებისათვის და იმათ ნაჩვენებიდამ სჩანს, რომ არუთინოვს ჩუმად უხოცნია ღორი სავეტერინარო ზედა-მხედაობის შეუმჩნევლად. თვითონ არუთინოვიც მაგრად (СТОЙКО) ამტკიცებდა ამასვეო, ამბობს გამოძიება. არუთინოვისა და მოჯამაგირეების ნაჩვენებთა შორის ამის შესახებ ცოტა განსხვავებაა და „კულტუროსანთა“ მკურნალის ბ-ნ გონიევის ტენდენციას მოგვაგონებს ცოტად თუ ბევრად. მოჯამაგირეებს უთქვამთ, რომ ჩუმად დახოცილის ღორის ხორცსა ტფილისიდამ გარედ ჰგზავნიდა არუთინოვიო: იმ ხორცს არუთინოვი თურმე უგზავნიდა თავისს მუშებს სადღაც ტყეში, საცა მუშას თურმე უჭრიდნენ.

თუ ერთს შემთხვევაში, როგორც ზევით ვნახეთ, ხუთმეტმა ჩუმად დაკლულმა ღორმა რვა ტრიხინიანი მოგვცა, აქედამ ადვილად საფიქრებელია, რომ მას წინადაც სხვა ჩუმად დაკლულ ღორებშიაც არა ერთი და ორი ტრიხინიანი ღორი გამოერეოდა და თუ სულ ეს ტრიხინიან ღორის ხორცი მუშებს ეგზავნებოდათ ტყეში, კარგად შეექცეოდნენ საწყალი მუშები. მუშებს ხომ ღონიერი სტომაქი აქვთ, მოინელებდნენ ტრიხინიანსაც!.. ნუგეში ის არის, რომ არუთინოვს დაუზოგავს აზიზი კუჭი ტფილისელებისა, თავისიანები არ გაუწირავს და ტფილისის გარედ მცხოვრებს,—მუშები იქნებოდნენ, თუ არა-მუშები,—თუნდ ჯანი გავარდნოდათ, ვინ დაეძებს?.. მუშა მაიწამლება, მოკვდება თუ დარჩება რა ანგარიშშია მოსატანი, მით უფრო, რომ „კულტუროსანთა“ თვალში ჰუმანობა, კაცთ მოყვარეობა ეხლანდელ დროში ანახრონიზმია, სულელობაა „კულტუროსანთავე“ სიტყვით.

აქ ერთი რამ არის საოცარი პირველშეხედვით: ასე მაგრად (СТОЙКО) რად დამდგარა არუთინოვი იმაზე, რომ მე ჩუმად ვხოცდი ღორებსაო? ასე აბობენ, იმიტომაო, რომ ჩუმად ხოცვისათვის უფრო ნაკლები სასჯელია, ვიდრე ტრიხინიან ღორის გასაღებისათვის. რაკი ჩუმად ჰხოცდა, ტრიხინიან ღორების გასაღებაში იმით გაიმართლებდა თავს, რა ვიცოდიო, რომ ღორი ტრიხინიანი გამოდგებოდა. რაკი არ იცოდა, არც დამნაშავედ იცნობდნენ ტრიხინიან ღორის გასაღებაში, თუნდ ამაში დაეჭირათ კიდეც. არ ცოდნა, ხომ არ ცოდვაა!

გარდა ამისა რაკი არუთინოვს უკისრნია ჩუმად ხოცვა ღორისა და ამაზე მაგრად (СТОЙКО) დამდგარა, აქ, ჩვენის ფიქრით, ისიც საგულებელია, რომ ჰცდილა გამოძიებისათვის გზა-კვალი აერია და იგი ბეწვის ხიდი მიემალა, რომელიც რაღაც განგებით გადებული ყოფილა არუთინოვის საკუჭნაოდამ სავეტერინარო საკუჭნაომდე. ამ სავეტერინარო საკუჭნაოში ინახებოდა ფინიანი და ტრიხინიანი ღორის ხორცი, მინამ დასწვავდნენ, და გამოძიებამ ერთი უეჭველი შემთხვევა აღმოაჩინა იმისი, რომ არუთინოვისათვის აქედამ უძლევიათ ტრიხინიანი დაკლული ღორები მთლიანად.

არუთინოვს ვერ დასჯდომია, როგორც ეტყობა, ალჩუდ ადვოკატურად აგდებული კოჭი. გამომძიებელი მაინც აჰყოლია თვის მიერ ალღოდ აღებულ გზას და ზედ წასწყდომია შემდეგს: არუთინოვს წაუღია სავეტერინარო საკუჭნაოდამ რვა ტრიხინიანი მთელი ღორი, დაკლული 31 იანვარს და დასაწვავად უკვე ცნობილი. ვის მიუცია, როგორ წაუღია და რა ხიდი დებულა არუთინოვისა და სავეტერინარო საკუჭნაოს შორის, ამას შემდეგ მოგახსენებთ.

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა აპრილის 2-სა რიცხვსა ყოვლად უმოწყალესად ნება დართო სტარონ აღსტაფის ფოსტის სადგურის ზედამხედველს კოლლეჟსკი რეგისტრატორს კვიჟინაძეს—სპარსეთის ორდენი, სპარსეთის შაჰის მიერ ნაწყალობევი, ლომისა და მზისა მეხუთე ხარისხისა, ხოლო ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელეებს ბადრიშვილსა და მძინარიშვილს—ბუხარული ვარსკვლავი მესამე ხარისხისა ბუხარის ემირის მიერ ნაწყალობევი.

# ახალი ამბავი

⁂ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ უკვე მიიღო ნება რთვა ლატარია-ალეგრის გამართვისა საქველ-მოქმედო აზრით. ლატარია-ალეგრი გაიმართება კვირას, 25 მაისს, ჩვეულებისამებრ, მუშტაიდის ბაღში. საზოგადოებას ეხლავე მოსდის სხვა-და-სხვათაგან შემოწირული ნივთები სალატარიოდ.

⁂ ბ-ნ მთავარ-მართებლის ბათუმისაკენ გამგზავრების გამო ახალის სამხედრო ტაძრის კურთხევა, 9 მაისის ნაცვლად 21 მაისს იქნება.

⁂ ამ რამდენისამე ხნის წინად კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზედ აგრონომმა თავად ი. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა მიიღონ ვაზის სხვა-და-სხვა ჭირთან საბრძოლველად. ყველამ უწყის, ამ ბოლო დროს ნაცარმა, ჭრაქმა, ფილოქსერამ და სხვა მრავალმა ვაზის სენმა რა ძალიან დასცა ღვინის მოსავალი საქართველოში. თუ შემდეგშიაც ასე გასტანა, მევენახენი იძულებულნი იქმნებიან ღვინის მოყვანას თავი გაანებონ, რადგან ვენახი იმდენს აღარ მისცემს პატრონს, რომ ხარჯი დაჰფაროს. სწორედ ამიტომ თ. ანდრონიკაშვილმა შეიმუშავა და წარუდგინა ხსენებულ საზოგადოებას ახალი პროექტი ვაზის ჭირთან საბრძოლველად; ამ პროექტის განხორციელებით ყველას ადვილად შეეძლება შეიძინოს იაფად კარგის ხარისხის წამალი, მანქანები და ყველა ვაზის ჭირთან საბრძოლველად საჭირო მასალა. აგრეთვე აგენტები მაგალითით თუ სიტყვით ასწავლიან ხალხს ვაზის უკეთესად მოყვანა-მოშენებას და იმის ჭირთან ბრძოლას. საზოგადოებამ მოიწონა ხსენებული პროექტი, ხოლო რადგან საზოგადოებას არა აქვს საჭირო თანხა პროექტის განსახორციელებლად, დაადგინა სთხოვოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის საზოგადო კრებას, რათა ამ უკანასკნელმა გადასდოს ზემოხსენებულის საქმისათვის ბანკის სამეურნეო თანხიდგან 10,000 მანათი შემდეგის პირობით: ეს თანხა უნდა ჩაჰბარდეს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას თ. ანდრონიკაშვილის პროექტის განსახორციელებლად. სამეურნეო საზოგადოება ვალდებულია დაუბრუნოს თანხა 10,000 მანეთი ბანკსავე, თუ საზოგადო კრებამ დაადგინა ასეთი გადაწყვეტილება, იმ წლის გასულს, რა წელსაც ბანკის გამგეობა აცნობებს საზოგადო კრების გარდაწყვეტილებას სამეურნეო საზოგადოებას. ბანკს ეყოლება თავისი წარმომადგენელი სამეურნეო საზოგადოებაში და მონაწილეობას მიიღებს ყველა იმ საქმეში, სადაც ხსენებული თანხა მოხმარდება. სამეურნეო საზოგადოება ვალდებულია ყოველს წელს წარუდგინოს ბანკის საზოგადო კრებას ანგარიში იმ დაწესებულებისა და საქმისა, რასაც 10,000 მანეთი მოხმარდება.

⁂ 4 მაისს კრება ჰქონდა ტფილისის სასწავლებლების ღარიბ შეგირდთა დამხმარებელ საზოგადოებას. კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში, რომლითაც აღნიშნულია, რომ 1896 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას 4,108 მ. და 97 კაპ. ჰქონია ფულად, მთელის წლის განმავლობაში შემოსვლია 1,922 მ. და 59 კაპ., დაუხარჯავს—1082 მ. და 89 კ. და მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის დარჩენია საზოგადოებას 4,848 მ. 67 კ. ამას გარდა, კრებამ დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და შემდეგ ამოირჩია სარევიზიო კამისიის წევრებად: ა. ი. თამამშოვი, ა. ი. ტერ გრიგორიანცი და თ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი.

⁂ დღევანდელს ნომერში ვბეჭდავთ სახმოსნო კანდიდატთა ნუსხას, შედგენილს ქართველ და რუს ამომრჩეველთა მიერ. ამ ნუსხაში 28 ქართველია, 28 რუსი (მათ შორის ორი მალაკანი და ორიც გერმანელი) და 1 მაჰმადიანი.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ მომავალ „ლატარია ალეგრისათვის“ შემოსწირეს:

1) მარიამ გრიგოლ. ალექსი-მესხიშვილისამ ვერცხლის სასუხრე.

2) ნინო გრიგოლ. ნათიშვილისამ—ერთი წყვილი ყანწი და ერთი წყვილი ბროლის საფერფლე.

3) მარიამ ავეტისის ასულმა პაპაჯანოვისამ—ორი ვაზა.

4) ბაქოს საზოგადოებამ—20 ნაჭერი სხვა და სხვა ნახელსაქმი.

⁂ სამური: აქ ხელ-ახლად გაჩნდა ყვავილი. ჯერ რამდენსამე ოჯახში არიან ავად ბავშვები ამ გადამდების ავადმყოფობით.

⁂ ჩვენ მივიღეთ მეხუთე ნომერი ჟურნალ მოამბისა შემდეგის შინაარსით:

I—„მოლიპულ გზაზე“.—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება)—II—„მარტოობა“—ამბავი მოპასანისა.—თარგმანი ილ. გვ—ძისა. III—„იუდა“—(სააღდგომო ეტიუდი) შ. არაგვისპირელისა. IV—„მიჯაჭული პრომეთე“—დრამა ესხილისა. VI—„ჩემს ასულს“.—(ვიქტორ ჰუგოდან), ლექსი, თარგმანი ლ—ი წ—ესი. VII—„გლეხი-კაცის ისტორია“.—ნაწილი პირველი.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა (დასასრული პირველი ნაწილისა) VIII—„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—XXXV—XXXVI—ალ. ს—შვილისა. XI—„საქმე ნადელების შესყიდვისა“.—ალ. ფრონელისა. X—„აფხაზები“.—V. ქორწინება აფხაზეთში.—(ეტნოგრაფიული მასალები) ნ. ჯანაშიასი. XI—„გიუიოს აზრები შესახებ ზნეობისა და აღზრდისა.“—თარგმანი ბეს. სა—ლისა. XII—„ბიბლიოგრაფია“—Левонъ 3. Мсеріанцъ. Къ интерпретаціи ванскихъ надписей. (Отдѣльный оттискъ изъ „Харистирія“ юбилейнаго сборника въ честь проф. О. Е. Корша. Москва, 1896 г.).

ქრონიკა:

XIII—„ჩვენსა და სხვაგან“.—თავად-აზნაურთა გაჭირვებული მდგომარეობა და მართებლობის დახმარება,—ქალაქის არჩევნები. სომხების შეცდომა და შედეგი ამ შეცდომისა.—საბერძნეთის და ოსმალეთის ბრძოლა. **XIV—განცხადებანი.**

⁂ სოფ. ავჭალა, (ტფილისის მაზრა). შაბათს, 3 მაისს, ნაშუადღევის ხუთს საათზედ, ერთბაშად მოიღრუბლა ცამ, რამდენისამე წამის შემდეგ ღრუბელი შავად გამოიცვალა, ერთი ნაჭერი ამ ღრუბლისა მანგლისის მხრიდგან წამოვიდა დიღმის თავზედ გადმოიარა, ზემო ავჭალასა და გრდანზედ და ს. ნორიოსკენ გადიარა, ჯერ დიდი შხაპუნა წვიმა დაუშვა და შემდეგ სეტყვა. ამ სეტყვამ ზემო ავჭალას და გრდანს დიდი ზარალი მისცა. ხილი სულ ჩამოყარა, ყურძენსაც კეთილი არ დააყარა, სადაც-კი მოხვდა ახლად გამოტანილს კვირტებს, სულ ძირს დააყრევინა, ქვემო ავჭალაში-კი მარტო ნიაღვარი იყო და სეტყვა ერთიც არ ჩამოვარდნილა.

## ქალაქის საბჭო

5 მაისი.

საბჭოს მოხსენდა ბ-ნ ბერნატოვიჩის საჩივარი, რომელიც ამბობს, რომ ჩემი მამული ძვირად არის დაფასებული, დიდს ბაჟს ვიხდი და გარდასახადი შემიმსუბუქეთო. გამგეობას საქმის ვითარება უკვე გამოურკვევია და დაუნახავს, რომ ბ-ნ ბერნატოვიჩის მამული სისწორით არის დაფასებული. ამისათვის გამგეობამ წინადადება მისცა საბჭოს, რომ ბერნატოვიჩის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვეთო.

საბჭომ გამგეობის წინადადება შეიწყნარა.

ხმ. როტინოვი. მე ამას წინად საბჭოს წინადადება მივეცი იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობასთან კომიტეტი დაარსდეს, რომელმაც ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომხების სასარგებლოდ შემოწირულებანი უნდა მიიღოს-მეთქი. საბჭომ ჩემი წინადადება შეიწყნარა. რა მდგომარეობაშია ეს საქმე?

ბ-ნი ივანენკო. საბჭოს დადგენილება შეწყნარებულ არ იქმნა.

ხმ. როტინოვი. რატომ?

ბ-ნი ივანენკო. ამას შემდეგ კრებაზედ მოვახსენებთ საბჭოს.

საბჭოს მოხსენდა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქის არჩევნების ხარჯის დასაფარავად ასი თუმანი კიდევ გადასდეთ, რადგან ამ საქმისათვის წინად გადადებული ფული უკვე დაიხარჯაო.

საბჭომ ეს წინადადება შეიწყნარა.

გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღ.-დოლგორუკმა გამგეობის მოხსენება წაიკითხა ქალაქის ლომბარდის 1896 წ. ანგარიშისა გამო. გამგეობას საჭიროდ მიაჩნია, ლომბარდის საჭიროებათა დასაფარავად საბჭომ 11,532 მან. გადასდოს, რასაც ლომბარდის ხარჯთ-აღრიცხვა თხოულობს.

თავ. არღუთინსკიმ აგრეთვე სა-

რევიზიო კამისიის მოხსენებაც წაიკითხა იმის შესახებ, რომ ლომბარდს მცირე საღებ-მიცემო თანხა აქვს, რის გამოც ყველა მსურველთ ვერ ეძლევა ფული. ამის გამო კამისიას საჭიროდ უცვნია, რათა საბჭომ ღონისძიება გამონახოს ლომბარდის საღებ-მიცემო თანხის გასაძლიერებლად.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. საჭიროა ვიცოდეთ, რას ჰფიქრობს გამგეობა სარევიზიო კამისიის მოხსენების შესახებ?

თავ. ა. მ. არღ.-დოლგორუკი. გამგეობა ღონისძიებას ირკვევს. ამას წინად აზრადა გვქონდა საქალაქო შენობა დაგვეგირავებინა, მაგრამ შემდეგ ამ მოსაზრებას თავი დავანებეთ. გამგეობა ჩქარა წარმოუდგენს საბჭოს თავისს მოხსენებას ამ საქმის შესახებ.

საბჭომ გამგეობის წინადადება შეიწყნარა, ე. ი. ლომბარდის საჭიროებათა დასაფარავად 11,532 მან. გადასდო.

ბ-ნი ივანენკო. საბჭომ ახლა საყასბოს მსახურად ყოფილის ლევა ხუცურაულის თხოვნა უნდა განიხილოს იმის შესახებ, რომ ხელ-ახლად იქმნას იგი სამსახურში მიღებული.

ხმ. შაჰ-აზიზოვი. საბჭომ რისთვის უნდა განიხილოს ეს თხოვნა? მოსამსახურეების მიღება და დათხოვნა გამგეობის საქმეა.

ხმ. თავ. ნ. ე. არღ.-დოლგორუკი. საბჭო მოვალეა, ყოველივე საჩივარი გამგეობის მხრივ უსამართლო საქციელის შესახებ განიხილოს.

ხმ. არ. ს. ბაბოვი. განსახილველ საქმეთა ნუსხაში მოხსენებულია „თხოვნა“ და არა „საჩივარი“; ხოლო რადგან ამგვარ თხოვნის განხილვა მხოლოდ გამგეობის საქმეა, საბჭომ ამის განხილვას თავი უნდა დაანებოს.

ხმა ისმის: საჩივარია თუ თხოვნა?

თ. ა. მ. არ.-დოლგორუკი. როგორ გითხრათ: ერთიც არის და მეორეც.

ხმა ისმის: წაიკითხეთ, წაიკითხეთ!

თავ. ა. მ. არ.-დოლგორუკმა თხოვნა (თუ საჩივარი) წაიკითხა. ბ-ნი ხუცურაული სჩივის, რომ თუმცა მე რიგიანად ვემსახურებოდი საყასბოს, მაგრამ საყასბოს გამგემ ვართანიანცმა მაინც დამითხოვა, იმიტომ-რომ მე ქართველი ვარო და ჩემს ადგილას სომეხი დააყენაო. ბ-ნ ვართანიანცს საყასბოს მსახურთა შორის შრომა განწეს-რიგებული არა აქვს, ვინ რას აკეთებდა არა იცის-რა; მე ჩემს საქმესაც ვაკეთებდი და ამასთანავე, ვართანიანცის ბრძანებით, მეორე მსახურის, სომხის, საქმისათვისაც თვალ-ყური უნდა მედევნებინა. რადგან ეს მეორე მსახური საქმის უცოდინარი იყო და სხ. ბოლოს ხუცურაული საბჭოს სთხოვს,—რადგან უმიზეზოდ ვარ ლუკმა-პურს მოკლებული ვართანიანცის მიერ და გამგეობაც ჩემს მდგომარეობაში არ შევიდა, თქვენ მაინც განიხილეთ ეს საქმე და ისევ დამიბრუნეთ სამსახურიო. თუ ამას არ იზამთ, ნამსახურობის ბარათი მაინც მომეცით, რომ სხვაგან ადგილი ვიშოვნო, რადგან ვართანიანცის მიერ მოცემული ბარათი გამოუსადეგარიაო.

ხმ. ეკანგულოვი. თხოვნაში მოხსენებულს ზოგიერთ უხერხულს სიტყვებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. საჭიროა, თითონ საქმის ვითარებას დავუკვირდეთ. გამგეობამ გამოიკვლია ხუცურაულის დათხოვნის მიზეზი?

თავ. არ.-დოლგორუკი. გამგეობამ ეს საქმე გამოიძია და, როგორც ფერშალთა გონჩაროვისა და ანანიევის ჩვენებამ აღმოაჩინა, მორიგების დროს ხუცურაული ორჯელ მძინარი უნახავთ და საზოგადოდ რიგიანად არ ასრულებდა თურმე თავისს მოვალეობას.

ხმ. იაკიმოვი. ჩემის აზრით, ეს საქმე ხმოსანთა განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა გამოიძიოს. როგორც გვეუბნებიან, ხუცურაული ორჯელ უნახავთ მძინარი. შეიძლება საყასბოში ისეთი მძიმე საქმეებია, რომ დაუძინებლობა არც-კი შეიძლება. ამ ოთხის წლის განმავლობაში პირველად ვხედავთ, რომ მსახურს თხოვნით მოემართოს საბჭოსათვის. გარდა ამისა, რომ ხუცურაული სამსახურიდგან დათხოვნის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ქართველი ვარო, გაზეთების მიერ გავრცელებული ხმებიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, ვითომც სომხები მიდგომით და ცალ-კერძ იქცევიანო. ამისათვის მე ვფიქრობ, ამ საქმის გამოძიება უთუოდ კამისიას უნდა მიენდოს.

გამგეობის წევრი ბ-ნი ხოსროევი. საბჭოს არ შეუძლიან ამა თუ იმ მსახურის დათხოვნის მიზეზი გამოიძიოს. ვინც უნდა, გამგეობა იმას დაითხოვს, თუ გინდ იმიტომ, რომ მისი სახე არ მოსწონს. საბჭომ თუ ხუცურაულის საჩივარი მოისმინა, ეს ცნობის-მოყვარეობით მოუვიდა, ხოლო საქმის განხილვაში-კი არ უნდა შევიდეს.

ხმ. ოზოჩინინი. მე არ ვეთანხმები ბ-ნს ხოსროევს: საბჭოს კანონი არ უკრძალავს ამა თუ იმ საჩივრის განხილვას. შეიძლება ისეთი შემთხვევაც მოხდეს, რომ მსახურის ნაცვლად მისი უფროსი იქმნეს დათხოვნილი, თუ ეს უკანასკნელი უსამართლოდ იქცევა. მაგრამ მე არც ხმოსან იაკიმოვს ვეთანხმები: ეს საქმე იმდენად არის გამორკვეული, ისე დიდი დრო მოვანდომეთ, რომ სრულიად საჭირო არ არის კამისიას გარდავცეთ იგი. თუ ხმოსანს ისა აქვს მხედველობაში, რომ კამისიის დანიშვნით გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმების უსაფუძვლობა გამოაშკარავდებაო, ჩემის აზრით, ამისათვის კამისია საჭირო არ არის. საბჭო იმდენად მაღლა სდგას, რომ სრული უფლება აქვს,—აქაურ გაზეთების ლაპარაკს არავითარი ყურადღება არ მიაქციოს. (მოწონების ხმა ისმის: „ნამდვილია, ნამდვილი!“).

საბჭომ (თითქმის ერთ-ხმად) ხუცურაულის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა.

—✦✦—

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „ცნ. ფურც.“-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი:

მოქმედება სწარმოებს დუშეთში; ოლქის სასამართლოს სესსიაა; იწყება საქმის გარჩევა, წინ წარდგნენ მოწმები. უეცრად ერთი იმათგანი მიუბრუნდება მსაჯულებს და ჰკითხავს: „ჩემი ადვოკატი არ მოსულა... საქმე გადადეთ სხვა დროისთვის“.

— რა საქმე?

— ჩემი საქმე... კაცის მოკვლას რომ მაბრალებენ!.. სთქვა ეს გლეხმა და უწყებაც ამოიღო ჯიბიდგან. გასინჯეს უწყების შირი და აღმოჩნდა, რომ გლეხი იყო დაბარებული მოწმედ და არა როგორც დამნაშავე. თარჯიმანმა ბ. შ—ოვმა აუხსნა და განუმარტა გლეხს, რომ ის მოწმეა და არა ბრალდებული, მაგრამ გლეხი თავისას არ იშლიდა:

— არა, ბატონო, უწყება რომ ჩავიბარე, მე მაშინვე ადვოკატთან წაველი, იმან რუსული კარგად იცის... კურსონიკია... იმან მითხრა: ბრალი გედება, კაცის მკვლელი ყოფილხარ და, თუ ათს თუმანს მომცემ, გაგამართლებო. თუმცა ღმერთმა იცის, კაცი არავინ მომიკლავს, მაგრამ მაინც შემეშინდა; ვიშოვნე როგორც იყო, ვაი ვაგლახით ხუთი თუმანი და მივუტანე ჩემს ადვოკატს იმ პირობით, რომ თუ გამამართლებდა, კიდევ უნდა მიმეცა რამე. მაგრამ დღეს არსადა სჩანს ჩემი ადვოკატი და...

— ვინ არის შენი ადვოკატი?

გლეხი ასახელებს თავისს ადვოკატს, გაკვირვებაა!!... მაგრამ გაკვირვებით ვერ აღავსებთ ამისთანა უსინდისო დამნაშავეს. აქ საჭიროა მკაცრი ბეჭედითი სიტყვა და იმ ვაჟბატონის სახელის გამოქვეყნება, რომ ყველამ შეაფურთხოს პირში, მაგრამ სად არის იმისთანა გულადი და მხნე მწერალი, რომ არ შეუშინდეს 1039 და 1040 მუხ. სასჯელთა დებულებისას?

ჩვენ, ჩვენის მხრივ, იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი კეზელი, მხნე და მოუღალავი მწერალი, არ შეუშინდება არავითარ კანონის მუხლებს. როცაკი საქმე სიმართლესა და ჭეშმარიტებას შეეხება და ჩვეულებრივის ნადვილითა და მღიერებით ღირსეულად გაჰკიცხავს იმ ვაჟბატონს, რომლის სასირცხვილო და უსინიდისო საქციელი ზევით გვაქვს მოთხრობილი და რომელსაც ბ-ნი კეზელი, როგორც დუშელი, კარგად უნდა იცნობდეს.

—✦✦—

## უცხოეთი

—

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.** აგერ ერთი კვირა იქმნება, რაც დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ საბერძნეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოთ ზავის ჩამოგდების შესახებ შუამდგომლობა სთხოვა და ისინიც დასთანხმდნენო. მას შემდეგ თითქმის ყოველ დღე მოდის ცნობები, რომ აი დღეს, აი ხვალ საბერძნეთ-ოსმალეთს შორის სისხლის ღვრა უნდა შესწყდეს და მშვიდობიანობა ჩამოვარდესო. ოსმალეთმა დიდ სახელმწიფოთა ელჩებს თავის მხრივ პირობანიც წარუდგინა, რომელთა მიხედვით უნდა აღიძრას მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. მაგრამ, როგორცა სჩანს, სანამ მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ ლაპარაკს საქმედ აქცევდნენ, კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრება. საქმე ის არის, რომ თუმცა აქამდე-კი გაიძახოდნენ, რომ თუნდა ერთმა მხარემ გაიმარჯვოს და თუნდა მეორემ, სულ ერთია, ამით ვერაფერს სარგებლობას ვერა ჰნახავს, რადგან საზღვრების გაფართოების ნებას დიდნი სახელმწიფონი არც ოსმალეთს მისცემენ და არც საბერძნეთსაო, მაგრამ ნამდვილად-კი ასე არ არის. დღეს ოსმალეთი ამბობს, რომ მე ომის ატეხა სრულიადაც არა მწადდა, მაგრამ რადგან საბერძნეთმა მოსვენება არ მომცა, გულ-ხელ დაკრებილი ხომ არ დავუწყებდი ცქერას საბერძნეთის თავ-გასულობასო. ამისათვის რაც ომიანობაზედ ხარჯი და ზარალი მომივიდა, 100 მილიონამდე, საბერძნეთმა იგი მაინც უნდა მიზღოს, რადგან ჩემ მიერ დაპყრობილ ადგილების დანარჩუნების ნებას არ მაძლევთო. მაგრამ რადგან ისედაც დავალიანებულს საბერძნეთს ამოდენა ფულის გარდახდის ღონისძიება არ აქვს ამ თავით და ამასთანავე ოსმალეთი აცხადებს, რომ საბერძნეთს ვერ ვენდობი, რადგან, მართალია, შემოპირებითკი შემომპირდება, მაგრამ მერე ერთს გროშსაც არ მომცემსო, საქმე სხვაფრივ დატრიალდა. ეხლა ზოგიერთები, უფრო-კი გერმანია, გაიძახიან, რომ ფულის მაგიერ საბერძნეთმა ოსმალეთს თავისი სამხედრო ფლოტი მისცეს, ხოლო თუ ესეც საუსებით ვერ დაჰფარავს საზღაურს, იმ შემთხვევაში საბერძნეთის შემოსავალ-გასავლის თვალ-ყურის სადევნებლად დიდ სახელმწიფოების მიერ მზრუნველები უნდა იყვნენ დანიშნულნი, რათა ოსმალეთი და საზოგადოდ საბერძნეთის დანაშთენი მევალეები თავის დროზედ იქმნან დაკმაყოფილებულნიო. ხოლო სანამ ოსმალეთი თავისას აიღებდეს საბერძნეთისაგან, მინამდე ოსმალეთის ჯარი თესალიაში უნდა დარჩესო.

რადა ბევრი ლაპარაკი უნდა, საბერძნეთს ყოველივე ეს ჭკვაში არ მოსდის და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თუმცა დიდ სახელმწიფოთ შუამდგომლობა სთხოვა, მაგრამ თავის მხრივ არათუ არავითარი პირობა არ წარუდგენია მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ, არამედ ბრძოლის საქმესაც უფრო გულმოდგინედ შეუდგა. დღე დღეზედ ამბავი მოდის, რომ საბერძნეთის ფლოტი ყუმბარებით იკლებს ეპირისა და სალონიკის ნაპირებს და დომოკოზედ მისული ოსმალეთის ლაშქარი რამდენჯერმე დაამარცხა და უკუ აქციაო. როგორც დღევანდელი დეპეშიდგანა სჩანს, ცნობილი პოლკოვნიკი ვასოსიც წამოსულა ათინის მეციხოვნე ჯარით დომოკოს ლაშქრის მისაშველებლად. ერთის სიტყვით, ბერძნები არავითარს ღონისძიებას არა ჰზოგავენ, რომ ამდენის დამარცხების შემდეგ ერთხელ მაინც არის შესამჩნევად გაიმარჯვონ ოსმალებზედ და შემდეგ ევროპას უთხრან, რომ გამარჯვებული ჩვენ ვართ და არა ოსმალეთი, და ამ უკანასკნელს სამხედრო საზღაური რისთვის უნდა მივცეთო; თუ არა გჯერათ, რომ ჩვენ ვართ გამარჯვებული, ცოტა კიდევ დაგვაცადეთ და ნახავთ, რომ კიდევ უფრო გავიმარჯვებთო. ცხადია, ბერძნებს იმედი აქვთ, რომ რამდენსაც გავაჭიანურებთ საქმეს, ისა სჯობიან; ვინ იცის დღეს თუ არა, ხვალ იქნება გაგვიღიმოს ბედმაო.

—✦✦—

## დამაკვირდი

(ვერტემერი)

ამ წუთის-სოფლის შემდეგ კიდევ სხვა ჯოჯოხეთი?! რა ოცნებაა!

***

უმადურება საწყენია უფრო მაშინ, როცა ქმნილი კეთილი ისინჯება, როგორც დახარჯული ფული.

***

მარტო ერთმანეთის ტრფიალთ ჰგონიათ, რომ რაც არის, სამუდამოდ იქნება.

—✦—

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დანიის ორს მოგზაურს ოლფრენსა და ფილიპსენს აღმოუჩენიათ შუა-გულ აზიაში, პამირში, ძლიერ მცირე ტანის ხალხი, რომელსაც ჯუჯა ხალს ეძახიან. ეს ტომი ნადირობითა სცხოვრობს თურმე. საკვირველი ის არის, რომ ამ ხალხს საქონელიც ძლიერ წვრილი ჰყავს. იქაური ხარი სახედარზედ დიდი არ არის, ხოლო სახედარი-კი ძაღლის სიმაღლე ძლივს იქნება. ცხვარი და თხები ხომ სულ მცირე ტანისაა თურმე.

**

გაზეთ „Daily Mail“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები შესახებ გერმანიის იმპერატრიცისა: იმპერატრიცა ავგუსტა სამაგალითო დედა და მეუღლეა თურმე. იმპერატრიცა ყოველ დღე დილის 6 საათზედ უკვე ფეხზეა თურმე, 8 საათზედ ყავას უმზადებს იმპერატორს, 9 საათზედ ყმაწვილებთან მიდის და იქ კარგა ხანს ატარებს. თვით იმპერატრიცა არჩევს საჭმელებს და დიდ ყურადღებას იმ საჭმელებს აქცევს, რომელიც იმპერატორს უყვარს. მერე შეუდგება ხოლმე სხვა-და-სხვა საოჯახო ანგარიშის განხილვას და შემდეგ წერილებსა სწერს და ჰკითხულობს. დილის 11 საათზედ იმპერატრიცა ან თვით იმპერატორთან დასეირნობს ეტლით ან ბავშვები მიჰყავს სასეირნოდ. 1 საათზედ მთელი ოჯახი ერთად იყრის თავსა და საუზმობს.

**

ამას წინად იტალიის გამოჩენილ პოეტისა და მწერალის ანუნციოს სახლში ქურდები შეიპარნენ, მოხვეტეს, რაც-კი მოსახვეტი იყო და ის იყო წასვლა დააპირეს, რომ ანუნციომ ხმაურობა გაიგო, პერანგის ამარა შევიდა სასადილო ოთახში, სადაც ამ დროს ქურდები იყვნენ და დაიძახა: „ვინ არის აქა და რას აკეთებთ? ეს მე გახლავართ—ანუნციო. — ანუნციოო! წამოიძახეს გაკვირვებით ქურდებმა. მაშ თქვენა ბრძანდებით ჩვენი სახელოვანი, განთქმული მწერალი ანუნციო? „დიახ, მე გახლავართო,—უპასუხა ანუნციომ. ქურდებმა იქვე დააწყეს, რაც-კი მოეხვეტათ და უნდა მოეპარათ და ბოდიში მოსთხოვეს ანუნციოს: უკაცრავად, რომ შეგაწუხეთ, არ ვიცოდით, რომ თქვენ ამ სახლში სცხოვრობთ, თორემ ჩვენის სახელოვანის პოეტის გაქურდვას როგორ გავბედავდითო. სთქვეს ესა ქურდებმა და წავიდნენ ხელცარიელნი, ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ ისე ახლოსა ვნახეთ ჩვენი სახელოვანი პოეტიო.

—✦✦—

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მაისი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, მინისტრი იმპერატორის სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და რუსეთის ორდენების კანცლერი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალი კავალერიისა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად და, მისისავე თხოვნის თანხმად, ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა ეხლანდელ ყველა თანამდებობისაგან გენერალ-ადიუტანტის ხარისხით. იმპერატორის სასახლის მინისტრის თანაშემწე, შტალ-მეისტერი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ფრედერიკსი დანიშნულ იქმნა სასახლის სამინისტროსა და საუფლისწულო მამულების მმართველადა და რუსეთის ორ

დენების კანცლერის თანამდებობის აღმასრულებლად.

**პარიჟი.** მანდლენის ეკკლესიაში ანდერძი აუგეს ჰერცოგის ომალის გვამს.

**ათინა.** ბატონიშვილი კონსტანტინე დეპეშით იუწყება: „დღეს, დილის $8^1/_2$ საათზედ, გამოჩნდნენ ოსმალები და წამოვიდნენ დომოკოსზე. ოსმალებმა შეუტიეს საბერძნეთის ჯარის ორსავე მხარეს, განსაკუთრებით მარცხენას. შუადღისას ოსმალეთის ჯარი 7 კილ. მანძილზედ იყო საბერძნეთისაზე. როგორცა სჩანს, ოსმალები ფარსალიდგან ახალს ჯარს მოელიან“. ამ ამბის მიღებისათანავე რალლიმ ინახულა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

**ათინა.** დომოკოსიდგან დეპეშით იუწყებიან: „მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის ჯარის მარჯვენა მხარემ დაიწია, ოსმალები ვერაფერს გახდნენ. ხმა დადის, რომ გენერალი მავრომიხალი დაჭრილია“.

**დომოკოსი.** 5 მაისს ოსმალებმა ადგილი დაიჭირეს კიტიკისთან. ბერძნები უკან იწევენ უწინდელ საზღვართან ოხრიდისაკენ.

**ათინა.** ოფიციალური ბილიუტენი (ღამის 12 საათი): დომოკოსთან ბრძოლა დაიწყო დილის 5 საათზედ, 5,000 ოსმალი რომ მოვიდა. პირველი ზარბაზანი შუადღისას დასცალეს. მტერმა ჯერ მარცხენა მხარეს შეუტია, მაგრამ ვერაფერს გახდა და მერე მარჯვენა მხარეს დაეცა. ეს მხარე საბერძნეთის ჯარისა იძულებულ იქმნა დაეწია კიტიმიასა, კიტცელისა და კარატცოლისაკენ და აქ დაბინავებულიყო. მტრის ჯარი ამ ადგილას ერთი-ოთხად მეტი იყო ბერძნებზედ. ოსმალთა ზარალი დიდია, ჩვენი—საგრძნობელი. საბერძნეთის ჯარი მედგრად ებრძოდა მტერს, რომელიც ჯარის რაოდენობითა და არტილერიით აღემატებოდა. მავრომიხალი მარჯვენა თეძოშია დაჭრილი. მთელი ათინის ჯარი ვასოსითა და ლიმბრიტის მოთაოეობით ამაღამ გავა აქედგან.

6 მაისი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით ებოძათ დროშები და შტანდარდები მრავალ სხვა და-სხვა ჯარსა და სხვათა შორის კავკასიის მსროლელთა 2 და 3 დრუჟინებს.

**რიგა.** ბალტიის გზაზედ სიდგურ ვალკასთან ერთი მატარებელი მეორეს დაეჯახა. მგზავრები არ დაშავებულან. სუბუქად დაშავდნენ მატარებლის მოსამსახურენი—6 კაცი.

**ბუქარესტი.** ხანგრძლივის წვიმების გამო სამხრეთი რუმინია წყალმა წალეკა.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშითა სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: გერმანია ურჩევს სულთანს, მოითხოვეთ, რომ საბერძნეთის საფინანსო საქმეს ამიერიდგან ევროპამ ადევნოს თვალ-ყური, რადგანაც ეს ერთად-ერთი საშვალებაა, რომ საბერძნეთს ომის საზღაური გადაჰხდეს.

**კონსტანტინეპოლი.** მთელს სადიპლომატიო კორპუსს ძლიერ დიდად მიაჩნია ომის საზღაურის რაოდენობა, რომელსაც ოსმალეთი თხოულობს. რაც შეეხება ადგილების მიმატებას, ყველენი ამბობენ, რომ ეს შეუძლებელი და წინააღმდეგი საქმეა ევროპის statu quo-სიო შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი ადგილი მიემატოს ოსმალეთს, რომლის მიმატებაც სამხედრო საქმეთა მხრივ არის საჭირო საზღვრების გასასწორებლად. რაც შეეხება ომის საზღაურს, ამბობენ, რომ იმის მეოთხედიც საკმარისი იქნება, რასაც ოსმალეთი თხოულობსო. ამასთანავე შესაძლებელია თესალია ოსმალეთმა დაიჭიროს იმ დრომდე, ვიდრე საბერძნეთი საზღაურს გადიხდის, ან არა და სხვაფრივ როგორმე უზრუნველ იქმნას ოსმალეთი, რომ ეს საზღაური მიიღოს საბერძნეთისაგან.

7 მაისი

**კელნი.** „კელნის გაზეთს“ სწერენ, რომ ოსმალეთის პირობები შესახებ მორიგებისა ბერლინში არაფრად მოსწონთ. ოსმალეთის პირობებს დიდნი სახელმწიფონი არ შეიწყნარებენ და არ დასთანხმდებიან. ოსმალეთმა უმტყუვნა თავისს დაპირებას, რომ ადგილების დაპყრობას არა ვცდილობო.

**ვენა.** დიდნი სახელმწიფონი თანხმანი არიან ვიდრე ზავი ჩამოვარდება, დროებით მოისპოს ომიო.

**ლამია.** ბერძნებმა დომოკოსს თავი დაანებეს.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშას ბრძანება გაეგზავნა—ბრძოლა მოისპოსო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. გოფმანმა და მისმა მეგობრებმა წარადგინეს მოხსენება და მთავრობას პასუხი მოსთხოვეს შესახებ აღმოსავლეთის საქმისა, ამ საქმის მიერ გამოწვეულ ცვლილებისა ავსტრი-უნგრეთის პოლიტიკაში და თვით ამ სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ სამთა კავშირთან.

**პარიჟი.** მთავრობის წრეები ძლიერა ჰკიცხავენ ოსმალეთს გადამეტებულ პირობისთვისე, რომელსაც არც დიდნი სახელმწიფონი შეიწყნარებენ და არც საბერძნეთი. ოფიციალური გაზეთი „Temps“-ი აცხადებს, რომ ოსმალეთის პირობების მარტო ერთმა გამოცხადებამ საერთო წყრომა გამოიწვიაო. გაზეთი დასძენს: ეს მოთხოვნილებანი ოსმალეთისა მით უფრო უადგილოა, რომ, გრაფის მურავიოვის თაოსნობით, დიდმა სახელმწიფოებმა ომის დაწყებისათანავე განუცხადეს ორსავე მეომარ სახელიწიფოს, რომ გამარჯვებული მხარე თვისის გამარჯვებით ვერაფერს სარგებლობას გამოიტანსო“ გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთს, ეტყობა, ჰსურს თვით საბერძნეთთან იქონიოს მოლაპარაკება. მაგრამ ეს არ შეეფერება დიდ ხახხლმწიფოთა მიერ შუამდგომლობას.

**პარიჟი.** სტამბოლში მყოფმა ელჩებმა გადასწყვიტეს, ოსმალეთის პირობები შესაწყნარებელი არ არისო, მიჰმართეს თავ-თავიანთ სახელმწიფოებს, მოწერილობა გამოგვიგზავნეთო და მიუვიდათ კიდეც ყველას ერთისა და იმავე შინაარსის დარიგება.

**პარიჟი.** პალატა. კრება სრულის წესიერებით დაიწყო.

**ვენა.** „Fremdenblatt“ ი ამტკიცებს, რომ ოსმალეთს უფლება არა აქვს ისე იმოქმედოს ბალკანეთში, როგორცა ჰნებავს, დიდ სახელმწიფოთა სურვილის მიუხედავად. თუ-კი ოსმალეთი დას თანხმდა დიდ სახელმწიფოთა ჩარევაზედ, როდესაც ეს სასარგებლო იყო მისს ხელ-შეუხებლობისათვის, ეხლაც თავს ვერ დააღწევს იმავ სახელმწიფოთა ჩარევას, რომელსაც საგნად აქვს ხელი შეუშალოს ოსმალეთს, მეტად არ ისარგებლოს თვისის გამარჯვებითა.

**ბერლინი.** ოფიციალური ამბავი მოვიდა, რომ სულთანმა ბრძანება გასცა—ბრძოლა შესწყდესო.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთმა შეატყობინა დიპლომატთა უფროსს, რომ გუშინ, მცირე ბრძოლის შემდეგ დომოკოსი დავიპყრეთო. გარდა ამისა ოსმალეთი იუწყება, რომ ეპირში ბრძოლის შემდეგ, ოსმალეთში ჯარი ბერძენთა აღარ არისო.

ოსმალეთის მიერ ოფიციალურ უწყებათა თანხმად, ბრძოლა შესწყდება აგრეთვე მთავარ-სარდალთა შორის შეთანხმებით. ოსმალეთის მთავარ-სარდალს უკვე გაეგზავნა შესაფერი ბრძანება.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშა დეპეშით იუწყება: „გუშინ განუწყვეტელის ბრძოლის შემდეგ, რომელმაც საღამოს 7 საათამდე გასტანა, ოსმალეთის ჯარმა დომოკოსი დაიპყრო“.

**ათინა.** სმოლენიცის ჯარს ებრძანა ისამენ-ზელის სადგურისაკენ წავიდეს: აქედგან ჯარს გადაიყვანენ სტილიდაში, მერე ლამიაზედ გაივლის და უმთავრესს ჯარს შეუერთდება.

ბატონიშვილის კონსტანტინეს ჯარმა ორხიდისაკენ დაიწია სრულის წესიერებით. არავითარი ცუდი შემთხვევა არ მომხდარა.

---

სახმოსნო კანდიდატთა ნუსხა, შედგენილი ქართველ და რუს ამომრჩეველთაგან.

ალიხანოვი, კონს. მიხეილის ძე.
ანდრონიკაშვილი, თ. ნ. დავითის ძე.
არღ. დოლგორუკი, თ. ა. მიხეილის ძე.
არღ. დოლგორუკი თ. ნ. ვასილის ძე.
არღ. დოლგორუკი, თ. პ. მიხეილის ძე.
არჯევანიძე ნიკოლ. ივანეს ძე.
ბაბოვი არშაკ სერგის ძე.
ბაბოვი იაგორ სერგის ძე.
ბაგრატიონ-მუხრანსკი თ. ა. ირაკლის ძე.
ბებუთოვი თ. არსენ ივანეს ძე.
ბერნატოვიჩი ი. ანდრიას ძე.
ბურგარტი ემანუილ თეოდორეს ძე.
ვასილიევი პეტრე სიმონის ძე.
ვაწაძე სპირიდონ იოსების ძე.
ვერმიშევი ქრისტეფორე ამბაკუმის ძე.
ვესელოვზოროვი მ. ნიკოლოოზის ძე.
ვესელოვზოროვი ბორის პეტრეს ძე.
ვეტცელი ფრიდრიხ გასპარის ძე.
გაბაშვილი ვასილი დავითის ძე,
გრინევი ნიკ. ალექსანდრეს ძე.
გრიჭუროვი ნიკ. არტემის ძე.
გრუზინსკი უ. თ. პეტრე ალექსანდრეს ძე.
გრუზინსკი უ. თ. მიხეილ ალექსანდრეს ძე.
ზუბალოვი ნიკოლოოზ დავითის ძე.
ივანენკო აპოლონ ათანასეს ძე.
ირიცპუხოვი აბრამ გაბრიელის ძე.
ისარლიშვილი მიხეილ პეტრეს ძე.
ისარლიშვილი იაკობ პეტრეს ძე.
ყავრიშვილი კონსტანტინე იოსების ძე.
ქალანთარი ალექსანდრე ჰაირაპეტის ძე.
ქართველიშვილი გაბრიელ გაბრიელის ძე.
ქიქოძე ტიტე სიმონის ძე.
ყიფიანი ვასილ როსტომის ძე.
ყიფიანი მიხეილ ქაიხოსროს ძე.
კონდრატენკო თეოფილე ისიდორეს ძე.
კოყინი პეტრე ივანეს ძე.
ყორღანოვი ვასილი დავითის ძე.
მაკარსკი თადეოზ იოსების ძე.
მაჩაბელი მიხეილ კახტანგის ძე.
მღებროვი ლევან იაკობის ძე.
მირზოევი მინას ივანეს ძე.
მინაევი სიმონ ანდრიას ძე.
მიქელაძე თ. ვლადიმირ სიმონის ძე.
მიტკევიჩი ალექსანდრე ივანეს ძე.
მუღინი ტარასი ივანეს ძე.
ოსტროვსკი ივლიანე სვიატოსლავის ძე.
ოტტენი ფერდინანდ კარლის ძე.
პავლოვსკი ალექსანდრე ანდრიას ძე.
პოტტო ვასილ ალექსანდრეს ძე.
ფრიდონოვი ალექსანდრე თომას ძე.
ფრიდონოვი ნიკოლოოზ სპირიდონის ძე.
რემიზოვი სტეფანე თეოდორეს ძე.
რეიტერი კონსტანტინე ნიკოლოოზისძე.
რუსანოვი დიმიტრი ალექსანდრეს ძე.
სავანელი ალექსანდრე ივანეს ძე.
საყვარელიძე გაბრიელ ბეჟანის ძე.
სერგეევი მიხეილ ივანეს ძე.
სობენევსკი სტანისლავ ემელიანის ძე.
სოფიევი აბას ყული-ბეგ.
სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე.
თამამშევი მიხეილ ივანეს ძე.
თეთრაძე კონსტანტინე დიმიტრის ძე.
ტიგრანოვი ლაზარე თადეოზის ძე.
ტიხონოვი ალექსანდრე ივანეს ძე.
თულაშვილი ივანე გაბრიელის ძე.
ტურკოვსკი ალექსანდრე გრიგოლის ძე.
უმისსა ალექსანანდრე თომას ძე.
უთნელიშვილი ივანე დავითის ძე.
ხერხეულიძე თ. ილია დავითის ძე.
ხუდადოვი ნიკოლოოზ ალექსის ძე.
წოვიანოვი ივანე ისაკის ძე.
ცხვეთაძე ნიკოლოოზ ზებედეს ძე.
ჭავჭავაძე თ. ილია გრიგოლის ძე.
ჩოლოყაშვილი თ. ალექსანდრე ზაალის ძე.
ჭრელაშვილი სტეფანე თევდორეს ძე.
შახ-პარონიანცი მიხეილ სერგის ძე.
შარიფოვი მიხეილ ნიკოლოოზის ძე.
შახ-აზიზ-ვამსარაკან ალექსანდრე იაკინთეს ძე.
შერშენკო ივანე ალექსანდრეს ძე.
ენფიანჯიანცი ტიგრან ამბარცუმის ძე.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

ჩემსა და ჩემის შვილების სახელით უგულითადესს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ჩვენს მწუხარებაში მონაწილეობა მიიღო და თანაგრძნობა გამოგვიცხადა პირადად თუ წერილით.

თავ. ნიკოლოოზ დიასამიძე.

---

ნება მიბოძეთ გამოვაცხადო, რომ შევადგინე ახალი წიგნი „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი და მისთვის მბრძოლთა ისტორია“. წიგნი შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან: ა) ისტორია ტფილისისა მისის დაარსებიდგან 1800 წლამდის; ბ) ტფილისის სიწმინდენი და სიძველენი; გ) წიგნისა და სტამბის საქმე ტფილისში; დ) ტფილისის მკვიდრთა შინაური წეს-წყობილება და რაოდენობა; 1) რუსთა მთავრობის დამყარება ტფილისში და მის მიერ შემოღებული ცვლილებანი და წესები.—წიგნში ჩართული იქნება: ა) სახეები მეფეთა (ვახტანგ გორგასლანისა, დავით აღმაშენებლისა, თამარ დედოფლისა (ახლად ნაპოვნი, რომლის აღწერა იხ. შარშანდლის „ცნობის ფურცლის“ № №-ბში), ბაგრატ V და სხ. ბ) გეგმანი ტფილისისა, შედგენილი შარდენის მიერ (1673 წელს), ტურნეფორისა მიერ (1701 წ.), ვახუშტის მიერ (1735 წ.) და გეგმა აწინდელის ტფილისისა და სურათი ქორწილისა ვახტანგ V-ის სასახლეში (1673 წ.)

ყოველი დედა-ქალაქი ითვლება უმთავრესს ძარღვად მთელის სახელმწიფოსი და ამიტომ არ დავიშურეთ ჩვენი ძალ-ღონე, რათა გამოგვეძიებინა ქართველების სიმხნევე დ მათი თავ-განწირული ბრძოლა აურაცხელ მტერთან რომელთა უგულითადესი სურვილი იყო დაეპყრათ ტფილისი და მასთან აღმოეფხვრათ მთელი საქართველოც. ეს შრომა მალე დაისტამბება, თუ ხელის-მოწერით (თითო მანათი) იმოდენა თანხა შესდგა, რომელიც ეკმარება ამ მოზრდილის და დასურათ ხატებულის წიგნის გამოსაცემად.

მ. ჯანაშვილი

---


## განცხადებანი

პატენტ-ბოძებული თვით მომქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება დრო და მასალა

ისყიდება: ივანე კულიჯანოვის მაღაზიაში ქ. თელავს.

ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.

20—6.—16)


Дозволено цензурою, Тифлисъ 7 го Мая 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.